შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს

სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

<u>IP ტელეფონის აქსესუარის (კვების ბლოკი) შესყიდვა</u>

CPV-32500000

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგანეტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.4 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

<u>სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და განმარტებებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: გიორგი სვანიძე 599 03 02 72 ტექნიკური კითხვებისათვის დაუკავშირდით გიორგი გაბაშვილი 577 46 11 77 ; მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N83ა.</u>

2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, რაოდენობა და სავარაუდო ღირებულება:

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია	განზომილება	რაოდენობა	სავარაუდო ჯამური ღირებულება (ლარი)
1	IP ტელეფონის აქსესუარი (კვების ბლოკი)	შემავალი ძაბვა 5V, 1 ან 1.1A, თავსებადი შემდეგ მოდელებზე Escene: CC800, US102, ES220, ES290, ES292, WS290, ES205, ES206	ცალი	120	960

2.2 საგარანტიო პირობები:

2.2.1 საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია არანაკლებ **1 (ერთი) წელი.**

2.2.2 მიმწოდებელმა, საგარანტიო ვადის პერიოდში გამოვლენილი წუნდებული საქონლის შეკეთება ან შეცვლა, უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3. სხვა მოთხოვნები:.

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:

3.1.1 *მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში:*

3.1.2 *მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;*

3.2 სატენდერო წინადადების ფასი.

3.2.1 *სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.*

3.2.2 *სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.*

3.2.3 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი **20%-ით** ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტს მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, რისთვისაც შემსყიდველის მიერ განესაზღვრება არაუმეტეს **3 (სამი) სამუშაო დღე.** ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთება უნდა მოხდეს პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ამასთან, ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთების წარუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ამ წესის მე–13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

3.3 ანგარიშსწორების პირობები.

3.3.1 *შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება საქონლის მიწოდებიდან კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 კალენდარულ დღეში.*

3.3.2 *ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.*

3.3.3 *წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილება.*

3.3.4 *დაფინანსების წყარო 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი*

3.4 პრეტენდეტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

3.4.1 *ფასების ცხრილი დანართი N1-ის მიხედვით;*

3.4.2 *რეკვიზიტები დანართი N2-ის მიხედვით;*

3.4.3 *სრული ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების შესახებ* ***(მისაწოდებელი საქონლის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის და მოდელის მითითებით).***

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 *პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.*

ხელშეკრულება N _____ **პროექტი**

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი "___" _____" 2016 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქუჩა №83ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 205316497), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის **ზვიად ქაწაშვილის** სახით და

მიმწოდებელი: ი/მ, ფ/პ, შპს, სს **XXXXX**", საიდენტიფიკაციო კოდი **XXXXX**

მისამართი, ტელეფონი: **XXXXX**

დირექტორი: **XXXXX**

საბანკო რეკვიზიტები: **XXXXX** ბანკის კოდი: **XXXXX** ანგ. ანგარიში: **XXXXX**

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

1 გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" - მიმწოდებლის მიერ **SPA----------** გამარტივებული ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2 ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული ***IP ტელეფონის აქსესუარის (კვების ბლოკი) შესყიდვა*** (CPV-32500000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულებაა: ---------- ლარი.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი N1-ში მითითებულ ვადებში და ადგილზე. მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით ასევე მის გარეშე;
ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 ხარისხი და საგარანტიო ვადა

5.1 მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების N1 დანართში მითითებულ მაჩვენებლებს და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.
5.2 საქონლის საგარანტიო ვადაა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან დანართი N1–ში მითითებული ვადის შესაბამისად.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების **კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს შსს სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ლოჯისტიკის უზრუნველყოფის სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი**
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **5 (ხუთი) კალენდარული** დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.
6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული), არასათანადოდ შეფუთული, საქონლის თანმხლები აუცილებელი დოკუმენტაციის გარეშე ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.
6.6 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
6.7 ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, საქონლის მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.
6.8 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თანმდევი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადების) გამოწერიდან/წარმოდგენიდან **20 (ოცი)** დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **დანართი №1-ით განსაზღვრული** საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან/და წუნდებული საქონლის ღირებულების **0.2%-ის** ოდენობით.
9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.
12.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**
13.2 წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 პუნქტი მე-5 და მე-6 მუხლები მოქმედებენ ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

14 ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

დანართი N1

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური სპეციფიკაცია (წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის და მოდელის მითითებით)	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	საგარანტიო ვადა	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	IP ტელეფონის აქსესუარი (კვების ბლოკი)		ცალი	120			1 (ერთი) წელი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე	ქ.თბილისი შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად
სულ ჯამი:									

---------- *ლარი*

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი ----------

დანართი N2

პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება;

ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

ბანკის კოდი;

ანგარიშის ნომერი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი;

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი